ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთისთვის და ჯუმბერ ლეჟავას I შესახვევისთვის ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთისთვის და ჯუმბერ ლეჟავას I შესახვევისთვის ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

პროექტი


X:487247 Y:4617279
X:487277 Y:4617264
ბიძინა ჩოლოყაშვილის ქ.
X:487135 Y:4617163
X:487440 Y:4617109
X:487468 Y:4616976

my.gov.ge

"ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი"
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „ციფრული მმართველობის სააგენტო“

კორესპონდენცია წარმოებულია საჯარო უწყებებთან მიმოწერის სერვისის მეშვეობით

№ CA00412307972742 **15.06.2023**

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

სათაური: ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ქუჩა

შინაარსი: ქ. თბილისის საკრებულოს, გთხოვთ, დედაქალაქის რომელიმე ცენტრალურ ქუჩას ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის - ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელი.

დოკუმენტები:
1) ცნობა.jpg;

პატივისცემით,

ზურაბ ვანიშვილი
პ. #: 59001013409

მობილური: +995577529937
ელფოსტა: zvani777@gmail.com

KA011722242255423

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 125794 **15 / ივნისი / 2023 წ.**

ზურაბ ვანიშვილს
(პირადი ნომერი: 59001013409)

მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი,
III კვარტალი, კორპუსი N15, ბინა N159

ბატონო ზურაბ,

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 12 ივნისს წარმოდგენილი თქვენი N144875/17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო რეესტრის ძალაში არსებული მონაცემების თანახმად, გეოგრაფიული ობიექტი სახელწოდებით "ქალაქი თბილისი, ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩა" - მიმდინარე მომენტისთვის სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ელექტრონული ფორმით წერილზე დატანილი 15-ნიშნა ნომრით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.napr.gov.ge **ელექტრონული კანცელარიის მეშვეობით.**

ხელმოწერილია/
დადასტურებულია
ელექტრონულად

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032505017**
თარიღი: **19/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ზურაბ ვანიშვილის 2023 წლის 15 ივნისის საქმე #19/032316655-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთის და ჯუმბერ ლეჟავას I შესახვევის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩა) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01250503598**
თარიღი: **19/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 19.02.2025 წლის #03-032505017 (19.02.2025 წ. #14-01250501840-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბიძინა ჩოლოყაშვილი

კახეთის 1659 წლის სახალხო აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანი, ხსენების დღე — ახალი სტილით 1 ოქტომბერი (18 სექტემბერი)

XVII საუკუნის 30-იან წლებში კახეთის სამეფოს სახლთუხუცესი, შემდეგ სუფრაჯი. ქართლის მეფე როსტომსა და კახეთის მეფე თეიმურაზ III-ს შორის გამართულ ბრძოლაში ამ უკანასკნელის მხარეზე იყო.

1648 წელს თეიმურაზის დავალებით მან ერწო დალაშქრა, რათა თიანეთი მეფისათვის დაემორჩილებინა. კახეთის აჯანყების (1659 წ.) შემდეგ შაჰმა შალვა და ელიზბარ ერისთავებთან ერთად ჩოლოყაშვილი ირანში გაიწვია და გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ, მტკიცე უარი მიიღო. მაშინ შაჰმა ის გადასცა იმ თურქმანებს, რომელთა მეტომეებიც კახეთის აჯანყების დროს გაწყვიტეს. ჩოლოყაშვილი წამებით მოკლეს.

დაკრძალულია იკორთის ტაძარში